ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11923142001**

თარიღი:**22/05/2023**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის თამარ ცქიტიშვილის შვებულებაში გასვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 62–ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტებისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #12 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს აპარატის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საკრებულოს აპარატის უფროსს თამარ ცქიტიშვილს მიეცეს 2023 წლის კუთვნილი შვებულებიდან 4 სამუშაო დღე 2023 წლის 22 მაისიდან 2023 წლის 25 მაისის ჩათვლით.

2. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის აპარატის უფროსის მოვალეობის შესრულება დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს სამდივნო განყოფილების უფროსს მარიანა ცინდელიანს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი